ᲓᲘᲓᲘ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲝᲠᲛᲝᲪᲓᲐᲐᲗᲬᲚᲔᲣᲚᲘ

სამშაბათი, 5 დეკემბერი 1967 წ. № 50 (2388) ფასი 4 კაპ.

ᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲘ ᲒᲣᲨᲐᲒᲘ

საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს ორგანო ★ ОРГАН МИНИСТЕРСТВА ОХРАНЫ ОБЩЕСТВЕННОГО ПОРЯДКА ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲐ

[illegible]

ᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐ

2 დეკემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში შედგა საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მუშაკთა დიდი ჯგუფისათვის ორდენებისა და მედლების გადაცემა, რომლებითაც დაჯილდოებული არიან ისინი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიმდინარე წლის 4 ნოემბრის ბრძანებულებით.

საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება წაიკითხა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ზ. ქვაჩაძემ.

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს მუშაკებს ორდენები და მედლები გადასცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. ძოწენიძემ.

დაჯილდოებულთა სახელით სიტყვებით გამოვიდნენ გ. არზვაძე და ა. ჩიჩუა.

საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრმა, შინაგანი სამსახურის მესამე რანგის გენერალმა ე. შევარდნაძემ გულთბილად მიულოცა მაღალი ჯილდოები [illegible] მუშაკებს.

დასასრულს სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. ძოწენიძემ, რომელმაც მხურვალედ მიულოცა დაჯილდოებულებს მთავრობის მაღალი ჯილდო და უსურვა შემდგომი წარმატებები მუშაობაში.

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲖᲔᲘᲛᲘ

[illegible]

ᲤᲐᲠᲗᲝᲓ ᲓᲐᲕᲜᲔᲠᲒᲝᲗ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲔᲑᲘ

[illegible]

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲘᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲛᲐᲢᲘᲐᲜᲔᲡ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲘ

ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲠᲔᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

ᲛᲣᲨᲣᲠ-ᲒᲚᲔᲮᲣᲠᲘ ᲛᲘᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲥᲛᲜᲔᲚᲐᲓ (1917-1921 ᲬᲚᲔᲑᲘ)

[illegible]

ანგარიშგება-არჩევნები პარტორგანიზაციებში

პარტიული ცხოვრება

კომუნისტები ავანგარდში

აუმაღლოთ კომუნისტების ავანგარდული როლი, გავზარდოთ მათი პასუხისმგებლობა დაკისრებული მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულებისათვის — აი ძირითადი საკითხი, რომელზედაც მახვილობა მკონდა საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე ქ. თბილისის მილიციის სამმართველოს ოპერატიული პოლკის პარტიული ორგანიზაციის კომუნისტებმა.

კრებაზე საანგარიშო მოხსენებით გამოსულმა პარტიული ბიუროს მდივანმა გ. ჩარმელიშვილმა, კამათში მონაწილე კომუნისტებმა — ბანკების დაცვის ცალკე ოცეულის მეთაურმა ა. გალოევმა, პოლკის კედლის გაზეთის რედაქტორმა ა. გოგილაძემ, მეორე დივიზიონის პარტბიუროს მდივანმა ქართველიშვილმა, მექანიზებული დივიზიონის მეთაურის მოადგილემ პოლიტნაწილში ქ. არჩვაძემ, ოპერატიული პოლკის მეთაურმა შ. მურუსიძემ და სხვებმა ილაპარაკეს იმის შესახებ, რომ საანგარიშო პერიოდში ოპერატიული პოლკის კომუნისტებმა, დედაქალაქის მილიციის პირად შემადგენლობასთან ერთად, გარკვეული წარმატებები მოიპოვეს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში. დახაცემ ობიექტებზე ადგილი არ ჰქონია საგანგებო შემთხვევას, ძირითადად კარგად იყო ორგანიზებული საპატრულო-საგუშაგო და საბადრაგო სამსახური.

ოპერატიულმა პოლკმა წინასაოქტომბრო დათვალიერებაზე საქართველოს სსრ სწა სამინისტროს ჯილდო მოიპოვა, ხოლო დედაქალაქის მილიციის ორგანოების სამწყობრო დათვალიერებაზე ერთად შეფასება დაიმსახურა.

პოლკში სათანადო ყურადღება ექცევა თანამშრომელთა სამსახურებრივი კვალიფიკაციის და ზოგადი განათლების დონის ამაღლების საქმეს. ახალგამოწვეული მილიციელთაგან 60 კაცი გაიგზავნა მოსამზადებელ კურსებზე, ხოლო 20-მდე თანამშრომელი დაუსწრებლად სწავლობს მილიციის სკოლასა და სხვა სასწავლებლებში.

საანგარიშო პერიოდში წახალისებულია 390 თანამშრომელი, მათ შორის საჩუქრებით დაჯილდოებულია 116 კაცი, სიგელებით — 44, ხოლო ორდენი თანამშრომელი—ც. ლოლაშვილმა, ვ. ჭინჭარაძემ, ა. ვალიევმა და ზ. ნამგალაძემ მთავრობის ჯილდო მიიღო.

მიღწეულ წარმატებებში თავისი ღირსეული წვლილი შეიტანეს კომუნისტებმა ე. ძამისტარიშვილმა, ს. ჯანელიძემ, შ. სურცილაძემ, გ. ქართველიშვილმა, ს. გოგოლაძემ, ვ. ფაღავა, ვ. ხუჭუაშვილმა, მ. ბოჭორიშვილმა, ს. ლაოშვილმა, მ. ნოზაძემ, ც. ნანობაშვილმა, რ. მოსკავამ, ნ. ჟღენტმა, ა. ჯუღელმა და სხვებმა, რომლებიც თავიანთი პრინციპული სიფხიზლით და ოპერატიულობით ხელმძღვანელობის მაღლობა დაიმსახურეს.

ამავე პოლკის 200-ზე მეტ მუშაკს მკერდს უმშვენებს „მილიციის წარჩინებულის" სამკერდე ნიშანი. ცნობილ სწორედ ის მილიციელები არიან, რომლებიც ძალ-ღონის დაუზოგავად მუშაობენ და მეთაურის დავალებებს არიან უველა საპრძოლო ამოცანის შესრულებისას.

ამიტომ ბრძოლა ფრიადოსანი ათეულის, ოცეულის და დივიზიონის სახელის მოპოვებისათვის პოლკის პარტორგანიზაციის მუშაობის ძირითად ამოცანას წარმოადგენს.

მიმდინარე წელს პოლკში შეიქმნა სამართალმცოდნეობის უნივერსიტეტი, რომელსაც მილიციის პოლკოვნიკი შ. ხმალაძე ხელმძღვანელობს. პოლკის მუშაკები უნივერსიტეტში თეორიული ცოდნის დონეს იმაღლებენ.

კრებაზე გამოსულმა კომუნისტებმა ისიც თქვეს, რომ დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ბაზით მოპოვებული წარმატებები არ იძლევა თვითდამშვიდების უფლებას. რა დასამალია, რომ პოლკში ჯერ კიდევ არიან ისეთი თანამშრომლები, რომლებიც არღვევენ უმოქმედობას და ცალკეულ შემთხვევაში უხეშად არღვევენ სოციალისტურ კანონიერებას.

სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება კადრებთან მუშაობა. პოლკში ხშირია მილიციელთა დენადობა, რაც ალმზრდელობითი და იდეოლოგიური მუშაობის სუსტ მხარეზე მიუთითებს.

კრებამ ოპერატიული პოლკის პარტბიუროს მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობა შეაფასა დამაკმაყოფილებლად და არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად დასახა კონკრეტული ღონისძიებანი.

კრებამ აირჩია პარტბიუროს ახალი შემადგენლობა. პარტბიუროს მდივნად არჩეულია შ. თავართქილაძე. კრების მუშაობაში მონაწილეობა მიიღო ქ. თბილისის მილიციის სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანმა ამხ. ნ. ქავთარაძემ.

ვ. მეგრელიშვილი,
თბილისის მილიციის სამმართველოს ოპერატიული პოლკის მეთაურის მოადგილე პოლიტნაწილში.

წარმატებით მიმდინარეობს მეცადინეობა ქუთაისის მილიციის სამმართველოს პარტიული განათლების ქსელში.
სურათზე: პროპაგანდისტი ზ. მეცხანაძე ემზადება მორიგი მეცადინეობის ჩატარებისათვის.
ფოტო შ. კვანტალიანისა.

კრიტიკის შემდეგ

„ვიცოდეთ შეურიგებლნი ნაკლოვანებებისადმი"

ამ სათაურით ჩვენი გაზეთის მიმდინარე წლის 27 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში გაკრიტიკებული იყო მილიციის სახაზოს რაიგანყოფილება, ოპერატიულ-სამსახურებრივ საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებებისათვის. ამასთან დაკავშირებით მილიციის სახაზოს რაიგანყოფილების უფროსმა მილიციის მაიორმა ს. შუბითიძემ რედაქციის აცნობა, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები სინამდვილეა. საქართველოს სსრ სწა სამინისტროს კომპლექსური ბრიგადის მიერ გამოვლენილ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის დასახულია ქმედითი ღონისძიებანი. რაიგანყოფილების პირადი შემადგენლობა ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ სამსახურებრივ-ოპერატიული საქმიანობა მოწოდების სიმაღლეზე იყოს აყვანილი.

„მილიციის მუშაობის მთავარი უბანი"

გაზეთ „მებრძოლ გუშაგში" ამ სათაურით მიმდინარე წლის 11 ოქტომბრის ნომერში დაიბეჭდა კრიტიკული კორესპონდენცია, სადაც მხილებული იყო მილიციის მთელი რიგი ორგანოების საქმიანობაში სისხლის სამართლის დანაშაულობათა აცილების საქმეში არსებული ნაკლოვანებები.

ამასთან დაკავშირებით მილიციის ლენტეხის რაიგანყოფილების უფროსმა მილიციის მაიორმა გ. მეშველიანმა გვაცნობა: კორესპონდენცია „მილიციის მუშაობის მთავარი უბანი" განხილულ იქნა პირადი შემადგენლობის ოპერატიულ თათბირზე. მიღებული იქნა კონკრეტული ღონისძიებანი მზადებაში ან ჩანაფიქრის სტადიაში მყოფ დანაშაულობათა აცილებისათვის. ამჟამად ამ მიმართულებით მუშაობა გაუმჯობესებულია, პირადი შემადგენლობა ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ სასახელო მაჩვენებლებით დაამთავროს მიმდინარე წელი.

მდგომარეობა გამოსწორდა

წერილში „მილიციის მუშაობის მთავარი უბანი" მხილებაში მყოფი დანაშაულის აცილებისათვის სათანადო ღონისძიებების მიუღებლობისათვის გაკრიტიკებული იყო მილიციის აბაშის რაიგანყოფილება.

აღნიშნულ კორესპონდენციასთან დაკავშირებით მილიციის აბაშის რაიგანყოფილების უფროსმა, მილიციის კაპიტანმა გ. პარამიძემ რედაქციის აცნობა, რომ კრიტიკული შენიშვნა სამართლიანია. ამის წინათ რაიგანყოფილების მუშაკთა ოპერატიულ თათბირზე მოვისმინეთ უფროსი ოპერრწმუნებულის მილიციის კაპიტან გ. გვირჯიშვილის ინფორმაცია, დაისახა სათანადო ღონისძიებანი არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრისათვის. დღეისათვის მდგომარეობა საგრძნობლად გამოსწორებულია.

მინისტრი აჯილდოებს მსახიობებს

სახელმწიფო მოზარდ მაყურებელთა თეატრში უამრავმა მაყურებელმა მოიყარა თავი. მილიციის მუშაკებთან ერთად სცენაზე გამოჩნდნენ ლურჯ მუნდირებში გამოწყობილი მსახიობები, რეჟისორი, მხატვარი და ის ადამიანები, რომლებმაც შექმნეს საბჭოთა მილიციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სპექტაკლი — მილიციის პოლკოვნიკ გ. მამიაშვილის „ნიღბოსნები".

საქართველოს სსრ სწა მინისტრმა, შინაგანი სამსახურის გენერალ-ლეიტენანტმა ა. შევარდნაძემ სამახსოვრო მაჯის საათებით და სიგელებით დააჯილდოვა სპექტაკლის რეჟისორი და მსახიობები.

მილიციის თელავის რაიგანყოფილების უფროსმა, მილიციის პოლკოვნიკმა ა. ხუციშვილმა მზურვალედ მიულოცა მსახიობებს წარმატება და მაყურებელთა ტაშის გრიალში სახელოვნო გადასცა ჭოლდობა.

მაჯის საათი მიიღო რეჟისორმა ლ. პაქსაშვილმა, ხოლო საპატიო სიგელები მსახიობებმა გ. ხელთუბანიშვილმა, ნ. არაგვიშვილმა, ი. მოსიაშვილმა, გ. შვერიაშვილმა და სხვებმა.

თეატრის კოლექტივის სახელით მადლობა გადაიხადა რეჟისორმა ლ. პაქსაშვილმა.

შემდეგ მაყურებლებმა ნახეს მილიციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სპექტაკლი „ნიღბოსნები".

კრემლში გამოვიდა ჩვენი ანსამბლი

ამის წინათ მოსკოვში საბჭოთა მილიციის 50 წლისთავისადმი საიუბილეო გამართული საზეიმო კონცერტში მონაწილეობისათვის გაემგზავრა საქართველოს სსრ სწა სამინისტროს კლუბთან არსებული ქართული ცეკვის ანსამბლი (მხატვრული ხელმძღვანელები შ. და ა. კიკვაძეები).

82 კაცისგან შემდგარ დელეგაციას ხელმძღვანელობდა საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს პარტიული კომიტეტის მდივანი ო. მხეიძე. ანსამბლთან ერთად იმყოფებოდა საქართველოს სსრ სწა კომკავშირის კომიტეტის მდივანი შ. ნაძეიშვილი.

ჩვენმა კორესპონდენტმა თხოვა დელეგაციის მეთაურს ამხ. ო. მხეიძეს მოეთხრო მოსკოვში ანსამბლის შემოქმედებით წარმატებებზე.

— მოსკოვში გამართული საიუბილეო კონცერტისათვის ჩვენი ანსამბლი მომზადებული ჩამოვიდა. სსრ კავშირის სწა მილიციის მთავარ სამმართველოსთან არსებულ ცენტრალურ კლუბში შედგა ჟიურის, ჟურნალისტების, ლიტერატორებისა და სხვა რესპუბლიკების საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროების შემოქმედებითი კოლექტივების დათვალიერება. კონცერტის პროგრამა შეადგინა სპეციალურმა კომისიამ.

ანსამბლის მიერ წარმოდგენილი პროგრამიდან შერჩეული იყო ხევსურული ცეკვა ხმლებით (დამდგმელი ჯ. კიკვაძე). ამ ნომრით ანსამბლი წარმატებით წარსდგა კრემლის ყრილობათა სასახლეში დასწრებთ კონცერტზე.

22 ნოემბერს საბჭოთა კავშირის სწას ფ. ძერჟინსკის სახელობის კლუბში გამართა მოსკოვში რესპუბლიკების საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოების თვითმოქმედი მხატვრული კოლექტივების დათვალიერება. ამ კონცერტზე ჩვენს მიერ სამი ნომერი იქნა წარმოდგენილი. ცეკვები რ. ლაღიძის „სიმღერა პარტიაზე", რომელიც „მზიანი შენ გორის" ი. მეჩიტოშვილის შესრულებით და ცეკვა „ქართული", რომლებიც განსაკუთრებული წარმატებით შედგა.

მილიცია საზეიმო თავართქილაძე ტიტულისათვის საბჭოთა მილიციის 50 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით ანსამბლის 50 წევრი ყოფილა ჯილდოებით დასაჩუქრეს, 21-ს მადლობა გამოეცხადა, ხოლო 8 სსრ კავშირის სწას სიგელებით დააჯილდოვეს. ეს ჯილდოები ქართველ მოცეკვავეთა მაღალ მხატვრულ ოსტატობაზე მიუთითებს.

კრიტიკის ნიშნით

კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით ჩატარდა საანგარიშო-საარჩევნო კრება მილიციის სახაზოს რაიგანყოფილების პირველად პარტიულ ორგანიზაციაში. კრებაზე მოხსენებით გამოსული პარტბიუროს მდივანი შ. შაბაძე შეეხო საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობის როგორც დადებით, ისე ნაკლოვან მხარეებს.

წლის მანძილზე პარტიული ბიურო განყოფილების ხელმძღვანელობასთან ერთად მთავარ ყურადღებას უთმობდა პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის გაუმჯობესების, კომუნისტთა ავანგარდული როლის ამაღლების საკითხებს. პარტიულ კრებებზე და ბიუროს სხდომებზე იხილებოდა დანაშაულობასთან ბრძოლის გაძლიერების, გაუხსნელი საქმეების ირგვლივ საკვლევაძიებო სამუშაოების ჩატარების მდგომარეობის, პირად შემადგენლობის შორის დისციპლინის განმტკიცების საკითხები, ისმენდნენ ოპერატიული მუშაკების და უბნის რწმუნებულების ინფორმაციებს.

კრებაზე სიტყვებით გამოსულმა კომუნისტებმა მ. უღლიანმა, ვ. ცაცქიშვილმა, ო. პაპიძემ, ი. ბრეგვაძემ, განყოფილების უფროსმა ს. შუბითიძემ ბაზი გაუსვეს მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს, რომლებიც გამოვლენილ იქნა საქართველოს სსრ სწა სამინისტროს კომპლექსური ბრიგადის შემოწმებით, რაც გახდა იქნა კოლეგიის სხდომაზე. ამავე დროს პირადი შემადგენლობა მოხსენიებულია კოლეგიის გადაწყვეტილების ცხოვრებაში გატარებისათვის.

საანგარიშო-საარჩევნო კრების მუშაობაში მონაწილეობა მიიღო და სიტყვით გამოვიდა საქართველოს კპ სახაზოს რაიკომის პირველი მდივანი პ. ნოზაძე.

მუშაობის გაუმჯობესების მიზნით კრებამ დასახა კონკრეტული ღონისძიებანი, აირჩია მილიციის განყოფილების პარტბიუროს ახალი შემადგენლობა და რაიონულ პარტიულ კონფერენციის დელეგატები.

ა. აბასაშვილი,
„მ. გ."-ს კორესპონდენტი.

პატრონს ჩაბარდა

თბილისის მილიციის გორის საქალაქო განყოფილების მუშაკებმა, უბნის რწმუნებულმა რ. ალიბეგაშვილმა და სერჟანტმა ზ. ფიტელაშვილმა უცნობ მუშათა დახმარებით ტერიტორიის, ყოთილდ იპოვნეს დაკარგული ძროხა. შემდეგ ძიება გაგრძელდა, უცნობი იყო მატოთხის ახალი სახლი ის, რომელთა განკარგულებაში 1.140 მანეთი იყო. მილიციის მუშაკებმა ჩანთა და ნივთები დაუყოვნებლივ წარადგინეს განყოფილებაში და შეატყობინეს ხელმძღვანელობას.

მეორე დღეს ჩანთის პატრონი დადგინდა. რაიონიდან ჩამოსული ერთ-ერთი დაწესებულების მუშაკი, რომელსაც ბანკიდან მიღებ ფული მუშა-მოსამსახურეებზე ხელფასის გასაცემად, ზოგზე მეტად მიიღო მანეთი და ადარც ამისთვის სად დაკარგა ხელჩანთა. დაკარგული მეორე დღეს უკლებლივ ჩაბარდა პატრონს.

მილიციის მუშაკებს რ. ალიბეგაშვილსა და ზ. ფიტელაშვილს საქციელი ქებას იმსახურებს.

ი. ახალაშვილი,
მილიციის გორის საქალაქო განყოფილების უფროსის მოადგილე.

კარგი მაჩვენებლები გააჩნიათ მილიციის ვანის რაიგანყოფილების მუშაკებს — უფროს სერჟანტ მ. პაიჭაძეს, სერჟანტებს ს. ორმოცაძეს და გ. შარაშენიძეს, რომლებმაც კეთილსინდისიერი შრომით მიაღწიეს წარმატებებს დამნაშავეობასთან ბრძოლასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში.
სურათზე: მ. პაიჭაძე, ს. ორმოცაძე და გ. შარაშენიძე.
ფოტო გ. მჭედლიშვილისა.

კეთილშობილური საქციელი

რედაქციაში შემოვიდა ქ. თბილისში, ბილიანის ქ. № 6 ბინაში მცხოვრებ ტ. ნებიერიშვილის წერილი.

აი, რას გვწერს იგი:

ამის წინათ ნავთქური ამიფეთქდა ოჯახში. ცეცხლის ენები სულ მალე მწვდნენ. იქვე იყო ადვილად აალებადი ნივთები, ხოლო ეზოში ხის ნაგებობა, ყველაფერი ხანძრის საშიშროების ქვეშ იმყოფებოდა.

ამ დავიბენი. მოულოდნელად ეზოში შემოვიდნენ, ოპერატიული პოლკის მეორე დივიზიონის თანამშრომელი პ. კარიპენცოვი შევარდა ქოხურში და ეზოში გამოიტანა ცეცხლმოდებული ნავთქურა. მან მიიღო მარცხენა ხელის მძიმე დამწვრობა, მაგრამ გადაარჩინა ხანძარს.

ნება მომეცით თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გადავუხადო პ. კარიპენცოვს სიმამაცის, თავგანწირვისა და კეთილშობილური საქციელისათვის.

საბჭოთა მილიციის მატიანეს ფურცლები

ბოლშევიკების ბრძოლა რეაქციის წინააღმდეგ საქართველოში

მუშურ-გლეხური მილიციის შესაქმნელად (1917-1921 წლები)

(გაგრძელება)

სახალხო მილიციის შექმნის ლენინური გეგმის განხორციელების მოთხოვნას მიაწვდიდა. მსგავსი დადგენილება გამოქვეყნდა კავკასიის არმიის სხვა ნაწილებშიც.

1917 წლის 2 ოქტომბერი — რსდმპ (ბ) კავკასიის სამხარეო ყრილობის პირველ სხდომაზე ამხ. ს. ქავთარაძის განცხადების საფუძველზე ქუთაისში დროებითი მთავრობის მილიციის მიერ მოწყობილი დარბევების და ბოლშევიკების წინააღმდეგ გაჩაღებული მოსაზრების აღსაკვეთად ყრილობამ ქუთაისში გაგზავნა დელეგაცია. ყრილობამ შეიმუშავა რევოლუციური მილიციის შექმნის გეგმა.

1917 წლის 7 ოქტომბერი — რსდმპ(ბ) კავკასიის სამხარეო ყრილობამ მიიღო [illegible]

ის დაცვასაც, საქართველოს ბოლშევიკები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ბრძოლდნენ მუშურ-გლეხური მილიციის შექმნისათვის ბრძოლას შემდეგი სამი ძირითადი მიმართულებით:

1. რუსულ მუშურ-გლეხური წითელი მილიციის დაცვა.

2. ე. წ. „დროებითი მთავრობის" სახალხო მილიციის წინააღმდეგ ბრძოლა ამიერკავკასიაში.

3. სახალხო მილიციის შექმნის ლენინური გეგმის განხორციელება.

1917 წლის 28 ოქტომბერი — [illegible]

[illegible]

საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების ბრძოლა რევოლუციური სახალხო მილიციის შესაქმნელად ამიერკავკასიაში ანტისაბჭოთა კოალიციის პერიოდში.

(ნოემბერი 1917 — მაისი 1918 წ.წ.)

1917 წლის 15 ნოემბერი — [illegible]

1917 წლის 19 ნოემბერი — [illegible]

1917 წლის 24 ნოემბერი — რსდმპ(ბ) [illegible]

1917 წლის 28 ოქტომბერი — [illegible]

1917 წლის 1 ნოემბერი — [illegible]

1917 წლის 3 ნოემბერი — [illegible]

1917 წლის 9 ნოემბერი — [illegible]

1917 წლის 12 ნოემბერი — [illegible]

1. რუსეთ სახკომსაბჭო ცნობილ იქნას უმაღლეს მთავრობად.

2. შეიქმნას თბილისში რუსეთ სახკომსაბჭოს წარმომადგენლობა, რომელიც ადგილობრივ საბჭოებთან ერთად უხელმძღვანელებს ამიერკავკასიის საქმეებს, ამ პროგრამაში შედიოდა სახალხო მილიციის შექმნის მოთხოვნაც.

1917 წლის 16 დეკემბერი — [illegible]

1917 წლის 18 დეკემბერი — [illegible]

1917 წლის 28 დეკემბერი — [illegible]

მნის ადგილებზე სახალხო მილიცია".

1918 წლის 11 იანვარი — რსდმპ(ბ) კავკასიის სამხარეო და თბილისის კომიტეტებმა წამოაყენეს ლოზუნგი „ძირს ამიერკავკასიის კოალიციური კომიტეტი!" ძირს ამ კომისარიატის მილიცია!

1918 წლის 14 იანვარი — [illegible]

1918 წლის 28 იანვარი — [illegible]

1918 წლის 30 იანვარი — [illegible]

1918 წლის 2 თებერვალი — [illegible]

1918 წლის 3 თებერვალი — [illegible]

ხის შესახებ. ამ დოკუმენტში ნათქვამია, რომ გორის სამაზრო მილიცია უძლურია ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში, კომისარი დარწმუნებული იყო, რომ მისი მილიცია თავს ვერ გაართმევდა ბოლშევიკებთან ბრძოლას და საბოლოოდ გაიტეხდა სახელს, ჩირქს მოსცხებდა ადმინისტრაციის მოხელეობის თვალში. ამიტომ სამაზრო მილიციის დასახმარებლად გაგზავნილ იქნა ჯარები.

წარმატებით მოქმედებენ სახალხო მილიციის რაზმები, რომლებიც ბოლშევიკებმა შექმნეს გორის მაზრაში. ისინი ხშირად სძლევდნენ ამიერკავკასიის კომისარიატის მილიციას.

1918 წლის 7 თებერვალი — [illegible]

1918 წლის 9 თებერვალი — [illegible]

1918 წლის 10 თებერვალი — [illegible]

1918 წლის 11 თებერვალი — [illegible]

1918 წლის 11 თებერვალი — რსდმპ (ბ) კავკასიის სამხარეო და თბილისის კომიტეტების პროკლამაციებში მხილებული იყო ამიერკავკასიის ბანდა კომუნისტების დახვრეტის, პოლიციური ხისხლიანი ტერორის მოთავენი ვინმე ნოე ჟორდანია (მენშევიკურ ხუნტაში) და კომპანია.

1918 წლის 14 თებერვალი — ვ. ი. ლენინმა დეპეშა გამოუგზავნა კავკასიის საგანგებო კომისარს ს. შაუმიანს კომისარიატის პოლიციური რეჟიმის მიმართ ბოლშევიკების ტაქტიკის შესახებ.

1918 წლის 17 თებერვალი — თბილისის მე-2 ცეხის უფროსმა ამიერკავკასიის კომისარიატს მოახსენა, რომ ბოლშევიკებმა კაზარმებში შეიჭრნენ [illegible]

1918 წლის 23 თებერვალი — [illegible]

1918 წლის 26 მარტი — [illegible]

1918 წლის 12 აპრილი — [illegible]

(გაგრძელება შემდეგ)

განვამტკიცოთ კავშირი საზოგადოებრიობასთან

მიღწევები, რომელიც სახელი რამ მოგვიტანა, ამხანაგობის სასახლეებში, სახოგადოებების საბჭოებში, მილიციის ზაკვირვება მეზობლებში და სხვებში. პირადწესრიგის დამყარების საქმეში პოლიციას დიდი დახმარება გაუწიეს ხალხის მასობრივმა მონაწილეობამ ქალაქის საზოგადოებრივ წესრიგის დაცვაში. ხშირად ეს ადამიანები ისეთ ადგილებში აღმოაჩენდნენ ხოლმე ხულიგნებს, სადაც მილიციის მუშაკებს ძნელად თუ შეეძლოთ მათი აღმოჩენა. ამ ადამიანების ენერგიული მუშაობის წყალობით ქალაქში ხულიგნობის ფაქტების რიცხვი მკვეთრად შემცირდა.

ამ ადამიანებს შორის ბევრი ისეთი ადამიანი აღმოჩნდა, რომელიც ადრე ხულიგნობდა, ან ხულიგნობისაკენ იხრებოდა. ამ ადამიანებთან ბრძოლის პროცესში მილიციის მუშაკებმა ბევრი ისეთი ადამიანი აღმოაჩინეს, რომელიც ადრე ხულიგნობდა, ან ხულიგნობისაკენ იხრებოდა, მაგრამ

ნარჩინებულთა შეკრება

[illegible]

სურათებზე: (მარცხნივ) ჯილდოები გადაეცემა; (მარჯვნივ) შეკრების მონაწილეები.

ფოტოები ვ. ნალბანდიანისა.

საგამომძიებლო პრაქტიკიდან

[illegible]

დღე მიიწურა განთიადისას

[illegible]

ა. ალადაშვილი.

იურიდიული ლიტერატურის სიახლენი

1. რაბაიძე ი. ჯ. ... [illegible]

2. რაზინოვი ა. რ. საბჭოთა სახელმწიფო ფსიქოლოგია. ... 1967 წ. ... [illegible]

3. ... [illegible] 1967 წ. ...

4. კოზლოვი ი. ვ. საბჭოთა ადმინისტრაციული სამართლის საკანონმდებლო ... [illegible]

საბჭოთა მილიციის მატიანეს ფურცლები

ბოლშევიკების ბრძოლა რეაქციის წინააღმდეგ საქართველოში

მუშურ-გლეხური მილიციის შესაქმნელად (1917-1921 წლები)

[illegible]

1918 წლის 1 ოქტომბერი — [illegible]

1918 წლის 24 ნოემბერი — [illegible]

1918 წლის 25 ნოემბერი — [illegible]

1918 წლის 28 ნოემბერი — № 1 [illegible]

1919 წლის 1 იანვარი — [illegible]

1919 წლის 18 იანვარი — [illegible]

1919 წლის 21 იანვარი — [illegible]

(გაგრძელება იქნება)

მასალა შეკრიბა ელ. ალექსანიძემ.

ნეკროლოგი

ა. ე. პაიჭაძე

[illegible]

1944 წლიდან ა. ე. პაიჭაძე მუშაობს ... [illegible]

ამხანაგების ჯგუფი.

რედაქტორი ვლ. ალფენიძე.

გაზეთი გამოდის ქართულ („მებრძოლი გუშაგი") და რუსულ („ბოევოი სტრაჟ") ენებზე ყოველ ორშაბათს.

1968

გრძელდება ხელმოწერა გაზეთ „მებრძოლ გუშაგზე"

ხელმოწერა მიიღება „სოიუზპეჩატის" ყველა განყოფილებაში.

გაზეთი „მებრძოლი გუშაგი" გამოდის კვირაში ერთხელ ქართულ და რუსულ ენებზე „პრავდის" ფორმატით.

ხელმოწერის ღირებულება 11 თვით შეადგენს 1 მან. და 88 კაპ. 6 თვით—1 მან. და 4 კაპ.

1 დეკემბრიდან გაზეთი გამოიწერება 11 თვით ან 6 თვით. ივნისი, ივლისი ხელმოწერას გაეწოდება 1 დეკემბრის შემდეგ...

ტელევიზია

[illegible]

კინო

[illegible]

ჩვენი მისამართი:

თბილისი — 5, ორჯონიკიძის 11 მოედანი № 1.

ტელეფონები: რედაქტორის — 47-62, მოადგილის — 49-58, პ/მდივნის — 48-31, ლიტერატურული მუშაკების — 48-31.